„ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“

სამშვიდობო ინიციატივა

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის განათლების შესაძლებლობების განვითარება

2018 წელი
თბილისი

სარჩევი

პოლიტიკური მიზნები 3

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უზრუნველყოფა 4

აფხაზური ენის დაცვა და განვითარება 6

განათლების სისტემაში ჩართვის შესაძლებლობების განვითარება და გამარტივება 8

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოხვედრისა და სწავლის გაგრძელების გამარტივება, ხარისხიან განათლებაზე წვდომა 9

I. არსებული მდგომარეობა 9

II. დაგეგმილი ცვლილებები 10

საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის შესაბამისი მექანიზმებისა და პროცედურების შექმნა/გამარტივება 13

I. მიღებული უმაღლესი განათლების აღიარება 13

II. განხორციელებული ცვლილებები და განათლების აღიარების გამარტივება 14

III. საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა 15

IV. საზღვარგარეთ მგზავრობა 17

პროფესიული განათლების მიღების და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა 19

სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობა 23

დასკვნა 24

პოლიტიკური მიზნები

წარმოდგენილი სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ასახავს საქართველოს მთავრობის პოლიტიკას და მიდგომას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირებისთვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაზრდისა და გამარტივების, განათლების ყველა საფეხურისადმი ხელმისაწვდომის, ხარისხიან განათლებაზე წვდომის მიმართულებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

განათლების მიღების ხელშეწყობა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2016-2020 წლების სამთავრობო პროგრამის „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. საქართველოს მთავრობა დგამს ქმედით ნაბიჯებს იმისთვის, რომ ხარისხზე, ხელმისაწვდომობასა და ინკლუზიაზე ორიენტირებული განათლების სისტემის ფარგლებში, უზრუნველყოს ახალგაზრდების სათანადო ცოდნით აღჭურვა და პრაქტიკული უნარების გამომუშავება.

გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ახალგაზრდები არის სწორედ ის თაობა, რომელმაც უნდა იცხოვროს ერთად და მონაწილეობა მიიღოს ერთიანი მომავლის მშენებლობაში. შესაბამისად, მათი ბედი, განათლება და კეთილდღეობა განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ახალგაზრდების განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს სათანადო, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტის განათლების მიღება. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომლის მიზანია ამ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის განათლების შესაძლებლობების განვითარება, უშუალოდ ეხმიანება არსებულ ინტერესს და საჭიროებებს.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია რიგ გამოწვევებსა და დაბრკოლებებთან. განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობის შეზღუდვა. ამ მხრივ გამორჩეულად მძიმე მდგომარეობა არის გალის რაიონში, სადაც ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა განსაკუთრებით მოწყვლად და დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფება.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ აქვთ გავლილი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ავტორიზაცია. შესაბამისად, აღნიშნული დაწესებულებები არ არიან ჩართულნი ბოლონიის პროცესში და სწავლის პროცესი არ ხორციელდება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. შედეგად, ამ რეგიონებში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებული პირები ფლობენ საერთაშორისო თვალსაზრისით არალეგიტიმურ საგანმანათლებლო დოკუმენტებს და არ აქვთ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

არსებული მდგომარეობა აისახება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირების განათლების ხარისხზე და ართულებს თანამედროვე, მაღალი სტანდარტის განათლებაზე ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები პირების, როგორც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოწყვლადი ჯგუფის მიმართ, სახელმწიფოს მხრიდან შემუშავებულია **განსაკუთრებული მიდგომა**, რაც გულისხმობს სპეციალური პირობებისა და პროგრამების შეთავაზებას, განათლების ყველა საფეხურისადმი წვდომის და ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

საქართველოს მთავრობის მიდგომა და ხედვა ეფუძნება არჩევანის თავისუფლების, თანამშრომლობის, თანაბარი შესაძლებლობების, სამოქალაქო თანასწორობისა და კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემის პრინციპებს და ხელს უწყობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრებ პირებს შეიძინონ წარმატებისა და თვითრეალიზებისთვის საჭირო ცოდნა და განავითარონ უნარები.

ამასთან, საქართველოს მთავრობისთვის უმნიშვნელოვანეს **პრიორიტეტს წარმოადგენს აფხაზური ენის, როგორც საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული მეორე სახელმწიფო ენის შენარჩუნება და დაცვა**, რაც გულისხმობს როგორც აფხაზური ენის ცოდნისა და შესწავლის ხელშეწყობას, ისე აფხაზური ენის, იდენტობის და კულტურის კვლევას და შემდგომ განვითარებას. აღნიშნული მიდგომა საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ნაწილია და ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან მიმართულებას აფხაზურ საზოგადოებასთან ნდობის აღდგენის მიმართულებით.

შედეგად, საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირებისათვის:

- **მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უზრუნველყოფა;**
- **აფხაზური ენის დაცვა და განვითარება;**
- **განათლების სისტემაში ჩართვის შესაძლებლობების განვითარება და გამარტივება;**
- **საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვისა და სწავლის გაგრძელების გამარტივება, ხარისხიან განათლებაზე წვდომა;**
- **საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის შესაბამისი მექანიზმებისა და პროცედურების შექმნა/გამარტივება;**
- **პროფესიული განათლების მიღების და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;**
- **სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა.**

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უზრუნველყოფა

1990-იანი წლების კონფლიქტამდე გალის რაიონში ფუნქციონირებდა 58 სკოლა, საიდანაც 52-ში სწავლება მოსახლეობისთვის მშობლიურ, ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. კონფლიქტის შემდგომ სკოლების რაოდენობა 31-მდე შემცირდა, აქედან ერთი სკოლა 2017 წელს დაიხურა.

1994 წლიდან 2015 წლამდე ყველა სკოლაში თანდათან ქართული ენა ჩანაცვლდა რუსულით. 2015 წელს გალის ე.წ „ქვედა ზონის“ 11 სკოლაში, სადაც სწავლება ქართულ ენაზე შენარჩუნებული იყო, პირველი 4 კლასი გადავიდა რუსულ სწავლებაზე. 2016 და 2017 წელს რუსულ სწავლებაზე გადავიდა მე-5 და შესაბამისად მე-6 კლასი. დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, ყოველწლიურად ყოველი მომდევნო კლასი გადავა რუსულ სწავლებაზე (2018 წელს მე-7 და ა.შ).

აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაზე სწავლა აკრძალულია გალის რაიონში არსებულ ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში.

ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ახალგორის რაიონის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისათვის ასევე შეუძლებელი გახდა მშობლიურ ენაზე განათლების მიღება. 2017-2018 სასწავლო წლიდან დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლობის განცხადებით, რუსულ ენაზე გადავიდა სასწავლო პროცესი რეგიონში არსებულ ყველა ქართულენოვან სკოლაში (6 სკოლა).

აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვა უკავშირდება არა მხოლოდ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებას, არამედ განათლების მიღების ერთადერთ შესაძლებლობას, რადგან გალსა და ახალგორში მოსახლეობა, მასწავლებლების, მოსწავლეების და მათი მშობლების უმრავლესობა არც ფლობს რუსულ ენას. მათთვის მშობლიური ენა არის ქართული.

არსებულ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გალის და ახალგორის რაიონის მოსახლეობის, როგორც ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის მხარდაჭერას, მათი უფლებების, მათ შორის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უზრუნველყოფას, ასევე ქართული ენის დაცვასა და შენარჩუნებას.

საქართველოს მთავრობა ყველა შესაბამის საერთაშორისო ფორუმზე და ფორმატში, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში, რეგულარულად აყენებს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უზრუნველყოფის საკითხს.

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უზრუნველყოფა

ინტენსიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან და ორგანიზაციებთან, რათა ერთი მხრივ მოხდეს საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზება მოლაპარაკებების ფორმატების გამოყენებით, შეჩერდეს მიმდინარე პროცესი და გალში და ახალგორში მცხოვრებ მოსახლეობას მიეცეს ქართულ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, დაიგეგმოს და განხორციელდეს სხვადასხვა პროექტები და აქტივობები, რომელთა მიზანი იქნება ადგილობრივებისათვის მშობლიურ ენაზე განათლების, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული უფლების დაცვა/განმტკიცება, ასევე ამ მიმართულებით საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება და გაცნობა.

მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლების წარმოჩენისა და უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობის პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციები (მათ შორის გაეროს ბავშვთა ფონდი და ევროსაბჭო), გეგმავენ და ახორციელებენ ორმხრივ (ქართულ-აფხაზურ) სასწავლო ვიზიტებს სხვადასხვა ქვეყნებში (მაგალითად, ესპანეთი, ბრიტანეთი და სხვა). აღნიშნული ვიზიტების შედეგად გამოვლენილი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, რომელიც ცხადჰყოფს მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებას, დამატებით განიხილება ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში.

აღნიშნული ძალისხმევა ასევე გულისხმობს აფხაზეთში საერთო სტანდარტის ამაღლებას და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობების გაფართოებას ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სხვა რაიონებშიც (მაგალითად, აფხაზურ სკოლებში იმ მოსწავლეებისათვის, რომელთათვისაც აფხაზური მშობლიური ენაა). თუმცა აღსანიშნავია, რომ იმ სკოლებში, სადაც სწავლება მიმდინარეობს აფხაზურ, სომხურ ან რუსულ ენებზე, გალის რაიონის მსგავსი ხელოვნური შეზღუდვები არ მოქმედებს.

საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს ყველა შესაძლო პოლიტიკური, დიპლომატიური, პრაქტიკული და სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებას, რათა გალში და ახალგორში მცხოვრებ მოსახლეობას მიეცეს ქართულ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა. ზემოთ აღწერილი ძალისხმევა მიმართულია იმაზე, რომ შეზღუდვების ნაცვლად, გამოყენებული იქნას კონსტრუქციული მიდგომები, დაინერგოს ახალი შესაძლებლობები და გაუმჯობესდეს **მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისათვის.**

აფხაზური ენის დაცვა და განვითარება

საქართველოს ხელისუფლების ამოცანა, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ვალდებულებიდან გამომდინარე, არის აფხაზური ენის, როგორც მეორე სახელმწიფო ენის დაცვა და ხელშეწყობა. საქართველოს მთავრობა დგამს ნაბიჯებს აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ არსებულ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლება მოკლებულია აღნიშნული ამოცანის განხორციელების პირდაპირ მექანიზმებს აფხაზეთში. ამ მხრივ, ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა აფხაზური ენის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგვისა და შესწავლის ხელშეწყობა.

თბილისსა და რეგიონებში ფუნქციონირებს 6 საჯარო სკოლა, სადაც უზრუნველყოფილია აფხაზური ენის სწავლება. 2017 წლის დასაწყისში **აფხაზური ენის შემსწავლელი კლასები** დამატებით გაიხსნა ბათუმის მე-14 და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლებში, სადაც ცხოვრობს ეთნიკურად აფხაზი მოსახლეობა, თუმცა აფხაზური ენის შესწავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. აფხაზური ენის შემდგომი ხელშეწყობის მიზნით და მოსახლეობის ინტერესიდან გამომდინარე, მსგავსი კლასების გახსნა მომავალში ასევე იგეგმება სხვა საჯარო სკოლებშიც.

საქართველოს მთავრობა გეგმავს თვისობრივად უფრო მაღალ დონეზე აიყვანოს აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების კუთხით არსებული სახელმწიფო პოლიტიკა.

აფხაზური ენის განვითარების მიზნით, 2017 წელს შეიქმნა **სპეციალური სახელმწიფო პროგრამა**, რომლის მიზანია აფხაზური ენისა და კულტურის დაცვა და შენარჩუნება, ასევე ამ საკითხის გარშემო ქართულ-აფხაზური თანამშრომლობის ხელშეწყობა.

აფხაზურის ენის დაცვის სახელმწიფო პროგრამა

ამ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს შორის 2017 წლის 27 ოქტომბერს, აფხაზური ენის დღეს, გაფორმდა **ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი,** რომელიც მიზნად ისახავს:

- აფხაზური ენის დაცვას, შენარჩუნებას, განვითარებას და აფხაზური ენის პოპულარიზაციას, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ხელშეწყობას;
- აფხაზური ენის შესწავლის, კვლევის, შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით სამეცნიერო საქმიანობისა და აფხაზური ენის სპეციალისტების, ასევე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ხელშემწყობი იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერას;
- უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ ისეთი პროექტების განხორციელების ხელშეწყობას, რომელთა მიზანი იქნება აფხაზური ენის შესწავლა და კვლევა, სამეცნიერო საქმიანობა აფხაზური ენის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და აფხაზური ენის სპეციალისტების მხარდაჭერა;
- აფხაზური ენის დაცვის, შენარჩუნებისა და განვითარების საკითხებზე მომუშავე ქართველი და აფხაზი სპეციალისტებისა და პროფესიული ჯგუფების თანამშრომლობის და ორმხრივი ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელების ხელშეწყობას; აფხაზურ ენაზე სხვადასხვა გამოცემის, პუბლიკაციის, რადიო და ტელე გადაცემის მომზადების ხელშეწყობას.

სახელმწიფო პროგრამა საშუალებას მისცემს ყველა საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას წარადგინოს და განახორციელოს საინტერესო ინიციატივები. დაფინანსდება ისეთი პროექტები, რომელთა მიზანი იქნება აფხაზური ენის შესწავლა, აფხაზური ენისა და კულტურის კვლევა, სამეცნიერო საქმიანობა აფხაზური ენის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით, აფხაზური ენის სპეციალისტების მომზადება, ასევე, ქართულ-აფხაზური დიალოგის და თანამშრომლობის პროექტები. მაგალითად, პროგრამის ფარგლებში, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ასევე შეიქმნება **აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი**.

განათლების სისტემაში ჩართვის შესაძლებლობების განვითარება და გამარტივება

საქართველოს მთავრობის მიზანია უზრუნველყოს და გაამარტივოს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის განათლების ყველა საფეხურისადმი წვდომა და განათლების მიღების შესაძლებლობები.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეობისა და ნეიტრალური დოკუმენტების არმქონე პირებსაც შეეძლებათ **სკოლამდელ, ზოგად, უმაღლეს და პროფესიულ განათლებაში ინდივიდუალური ნომრის საფუძველზე ჩართვა**.

კერძოდ, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირებისთვის, სახელმწიფო სერვისებზე წვდომის შესაძლებლობების გაფართოების მიზნით, ამოქმედდება ახალი, **ე.წ. „ინდივიდუალური ნომრის“** (შემდგომში - პირადი ნომერი) **სტატუს-ნეიტრალური მექანიზმი.**

განათლების ყველა საფეხურზე გამარტივებული ჩართვა პირადი ნომრით

პირის ვინაობის იდენტიფიცირება მოხდება მისი ბიომეტრიული მონაცემების (ბიომეტრიული ფოტო) და ხელთ არსებული დოკუმენტების განხილვის საფუძველზე, რის შემდგომაც მას მიენიჭება პირადი ნომერი, რომელიც დაცული იქნება შესაბამის ელექტრონულ სისტემაში და ბიომეტრიულ მონაცემთან ერთად შემდგომში, სხვადასხვა მომსახურების მიღებისას, გახდება პირის იდენტიფიცირების საფუძველი.

პირადი ნომრით რეგისტრაცია არ გულისხმობს პირისათვის მოქალაქეობის დადგენას ან მინიჭებას. აქამდე არსებული რეგულაციისა და პრაქტიკისგან განსხვავებით, პირადი ნომრით რეგისტრირებულ პირს შესაძლებლობა ექნება ისარგებლოს მთელი რიგი სახელმწიფო სერვისებით, რაიმე დოკუმენტის წარდგენის გარეშეც, ან მის ხელთ არსებული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაშიც. შესაბამისად, აღნიშნული ინიციატივა კიდევ უფრო გაუმარტივებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებს განათლების სისტემაში ცალკეულ სახელმწიფო სერვისებზე წვდომას, როგორიც არის, მაგალითად:

- **სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ელექტრონული რეგისტრაცია და კერძო სკოლამდელ დაწესებულებებში ჩარიცხვა;**
- **ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო დაწესებულებებში ელექტრონული რეგისტრაცია და კერძო სკოლებში ჩარიცხვა;**
- **ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ელექტრონული რეგისტრაცია და საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვა, მათ შორის ე.წ. 1+4 პროგრამით;**
- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ელექტრონული რეგისტრაცია და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვა;**

- **განათლების საერთაშორისო ცენტრში ელექტრონული რეგისტრაცია და საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსების მოთხოვნა;**
- **საგანმანათლებლო/სამეცნიერო-კვლევითი გრანტის მიღება;**
- **სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების ცენტრში ჩარიცხვა.**

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოხვედრისა და სწავლის გაგრძელების გამარტივება, ხარისხიან განათლებაზე წვდომა

I. არსებული მდგომარეობა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვისა და განათლების მიღების პროცედურების გამარტივებისთვის, 2009 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში, რის საფუძველზეც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის შემოიღო გამარტივებული სისტემა - ჩარიცხვის გამარტივებული **„1+4" მექანიზმი და ე.წ ქვოტირების სისტემა**. კერძოდ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული ადგილების ფარგლებში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული არიან გამოყონ განსაზღვრული ადგილების 1% იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი, ხოლო **2016-2017 წლებიდან აფხაზურენოვანი ან ოსურენოვანი** ზოგადი უნარების გამოცდის საფუძველზე სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამასთან, აბიტურიენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩააბარონ მხოლოდ ერთი - ზოგადი უნარების გამოცდა - აფხაზურ ან ოსურ ენებზე და შესაბამისად ჩაირიცხონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდის შედეგის საფუძველზე. ყველა დანარჩენი აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს ოთხი გამოცდა უმაღლესი განათლების მისაღებად.

გამარტივებული სისტემის საფუძველზე ჩარიცხული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტები ერთვებიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო (ე.წ. 1+4) პროგრამაში, რომლის ერთწლიანი საფეხურის წარმატებით დასრულების შემდეგ, სტუდენტს შეუძლია განაგრძოს სწავლა თავდაპირველად შერჩეულ ფაკულტეტზე. 1+4 პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად გამოყოფს თანხებს იმ აბიტურიენტების დასაფინანსებლად, რომლებიც **მხოლოდ ერთი გამოცდით, აფხაზურენოვანი ან ოსურენოვანი ზოგადი უნარების ტესტის საფუძველზე** მოიპოვებენ სწავლის გაგრძელების უფლებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მოქმედი უნივერსიტეტის სტუდენტის საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში **გადმოსვლის შემთხვევაში,** აღნიშნულ პირი ასევე იღებს უმაღლესი განათლებისთვის საჭირო სრულ დაფინანსებას და **უგამოცდოდ ირიცხება შესაბამის უნივერსიტეტში.**

გარდა ამისა, ყოველწლიურად სრულად ფინანსდება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები იმ **150 სტუდენტის სწავლა** საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც აღნიშნულ დაწესებულებებში ხვდებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ოთხი საგნის ჩაბარების შედეგად. ძირითადად, ეს სტუდენტები არიან გალისა და ახალგორის რაიონებიდან.

თუმცა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში ამ დრომდე მოქმედებს სასკოლო განათლების ძველი სისტემა, რომელიც ითვალისწინებს 11 კლასის განათლებას და არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ასევე შეუსაბამობაშია ამ რეგიონებში მოქმედი სწავლების მეთოდები და არ არის დანერგილი ისეთი მნიშვნელოვანი თანამედროვე მიდგომები, როგორიც არის, მაგალითად, მოსწავლეზე ორიენტირებული სასაწავლო პროცესი და ინკლუზიური განათლება. ყოველივე აღნიშნული განაპირობებს ამ რეგიონების სკოლის მოსწავლეთათვის არაკონკურენტულ საბაზო პირობებს.

არსებობს სხვა სახის გამოწვევებიც. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში არსებული განათლების დონის გათვალისწინებით, ასევე სასწავლო პროცესში აფხაზური და ოსური ენის არასაკმარისი განვითარების პირობებში, შესაბამისი ინტერესის მქონე აფხაზ და ოს აბიტურიენტებს უჭირთ აფხაზურ და ოსურ ენაზე ნათარგმნი ზოგადი უნარების გამოცდისთვის დამახასიათებელი სპეციფიური ტერმინებით გაჯერებული ტესტის ჩაბარება. შესაბამისად, 1+4 პროგრამით ყოველწლიურად მოსარგებლე აფხაზი და ოსი სტუდენტების რიცხვი არ არის მაღალი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი ცხადყოფს, რომ აფხაზეთის რეგიონში მცხოვრები მოსწავლეებისთვის გაცილებით რთულია და დამატებით ძალისხმევებს უკავშირდება ერთიან ეროვნულ გამოცდებში კონკურენტულ გარემოში ჩართვა. ამასთან, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში განათლების ხარისხის დონის და გალის რაიონში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვის გამო, მნიშვნელოვნად რთულდება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადების შესაძლებლობა.

არსებულ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები, მათ შორის გალისა და ახალგორის რაიონების მოსახლეობის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი წვდომის გაუმჯობესებას**. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა დგამს ნაბიჯებს ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველსაყოფად.

II. დაგეგმილი ცვლილებები

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ადგილობრივი მოსახლეობის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი წვდომის გაუმჯობესების და ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობა გეგმავს სათანადო ცვლილებების ინიცირება მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობაში, რის შედეგადაც

აღნიშნულ რეგიონებში სკოლადამთავრებულ და სწავლის გაგრძელების მსურველ **ნებისმიერ პირს გაუმარტივდება საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვა.**

ამ მიმართულებით იქმნება რამდენიმე დამატებითი შესაძლებლობა:

1. **ქვოტა და სახელმწიფო გრანტი ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებისას**
   ნებისმიერ პირს, რომელსაც სურვილი და მზაობა აქვს ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები, პირდაპირ განაგრძოს სწავლა ოთხწლიანი ბაკალავრიატის საფეხურზე ან შესაბამის პროფესიულ სასწავლებელში, კვლავ ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს სახელმწიფო გრანტით (წელიწადში 150 სტუდენტისთვის გამოყოფილი ქვოტის პირობებში).

2. **ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება რუსულ ენაზე და აფხაზურ/ოსურ ენაში**
   აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ აბიტურიენტებს, რომლებსაც სურვილი აქვთ 1+4 სისტემისა და მისი თანმდევი ქართულ ენაში მოსამზადებელი ერთწლიანი პროგრამის ნაცვლად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გზით, პირდაპირ განაგრძონ სწავლა ოთხწლიანი უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურზე, შესაძლებლობა ექნებათ სურვილის შემთხვევაში ერთიან ეროვნულ გამოცდების ფარგლებში **მშობლიური ენა ჩააბარონ აფხაზურ/ოსურ ენაზე, ხოლო დანარჩენი საგნები - რუსულ ენაზე.**

3. **უნარების ტესტის ნაცვლად, აფხაზური და ოსური ენის ტესტი 1+4 პროგრამაზე**
   გარდა ამისა, გამარტივდება 1+4 სისტემით მოხვედრა აფხაზური და ოსურენოვანი აბიტურიენტებისათვის. კერძოდ, სათანადო ცვლილებები ხორციელდება საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“, რის შედეგადაც 2018 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აფხაზურ და ოსურ ენაზე ზოგადი უნარების გამოცდის ნაცვლად, რომლის ჩაბარება სპეციფიური ტერმინების გამო მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს, **შესაძლებელი იქნება აფხაზური/ოსური ენის გამოცდის ჩაბარება**.

   უნარ-ჩვევების ტესტის ნაცვლად აფხაზური/ოსური ენის ჩაბარება

4. **სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების ცენტრი ნებისმიერი მსურველისათვის**
   იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მოსახლეობის მომზადების დონე უფრო დაბალია, ვიდრე საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, შეიქმნება ახალი შესაძლებლობა - **ჩამოყალიბდება სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების ცენტრი** (შემდგომში მოსამზადებელი ცენტრი) **და შესაბამისი პროგრამა**, რაც სპეციფიურად გათვალისწინებული იქნება აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები პირებისთვის და უზრუნველყოფს მათ ზოგადი განათლების დონის გაზრდას და სრულფასოვან მომზადებას უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელებისათვის. მოსამზადებელ

ცენტრში მოხვედრა შეეძლება ნებისმიერ მსურველ პირს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან.

სპეციალური მოსამზადებელი ცენტრი

მოსამზადებელი პროგრამა/ცენტრი ფაქტობრივად არის მე-12 კლასის ჩამნაცვლებელი საფეხური უფრო ინტენსიური და საჭიროებებზე მორგებული პროგრამით, რომელიც ერთწლიანი კურსის ფარგლებში, სტუდენტებს მოამზადებს და აღჭურვავს საჭირო უნარ-ჩვევებით. შესაბამისად, მისი არსებობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვას და სწავლას საგრძნობლად გაუმარტივებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ იმ აბიტურიენტებს, მათ შორის გალის და ახალგორის რაიონებიდან, რომლებსაც ხარისხიან ზოგად განათლებაზე შეზღუდული წვდომის გამო, სჭირდებათ დამატებით და სათანადოდ მომზადება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებისთვის.

აღნიშნული პროგრამის/ცენტრის ფარგლებში შესაძლებელი იქნება განხორციელდეს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან სტუდენტების მომზადება/გადამზადება სასურველ საგნებში, მათ შორის ქართულ ენასა და ლიტერატურაში, და/ან აფხაზურ ან ოსურ ენაში, უცხოურ ენაში, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის გათვალისწინებულ არჩევით საგნებში, ზოგად უნარებში, კომპიუტერულ პროგრამებში, და ა.შ., რათა მათ შემდგომში გაუმარტივდეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შერჩეულ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება.

მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები დაინტერესებულ აბიტურიენტს ასევე გაუადვილებს **საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებსა და შესაძლებლობებზე წვდომას.**

5. **მოსამზადებელი ცენტრის კურსდამთავრებულთათვის სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებლებში**

ერთწლიანი სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ, პირის მიერ შერჩეულ საგნებში საჭირო კრედიტების დაგროვების, სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ **ჩატარებული ტესტირებისა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაძლევის შედეგად, სტუდენტს შეეძლება ბაკალავრიატზე შემდგომი სწავლის გაგრძელება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასვლის გარეშე.**

უმაღლესი განათლება ეროვნულ გამოცდებზე გასვლის გარეშე

შესაბამისად, მოსამზადებელი ცენტრის/პროგრამის ამოქმედება საგანმანათლებლო და პროცედურული თვალსაზრისით, საგრძნობლად გააუმჯობესებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირების ხელმისაწვდომობას და

ჩართულობას საქართველოში არსებულ, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე.

6. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებში ვერ დააგროვებენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისათვის საჭირო ქულებს, ან მოსამზადებელ ცენტრში კურსის გავლის შემდგომ, ტესტირების შედეგებით ვერ დააკმაყოფილებენ კრიტერიუმებს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გამგრძელებლისათვის, ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული განათლების მიღება და **პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვა**.

7. განთავსება და სტუდენტური საცხოვრებელი

საქართველოს მთავრობა აანაზღაურებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთა სწავლის საფასურს, თუმცა ამ რეგიონებიდან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული პირებისთვის, გარკვეულ შემთხვევებში, პრობლემას წარმოადგენს განთავსების ხარჯების დაფარვა - საცხოვრებელი ფართის ქირის გადახდა. საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტული იქნება ამგვარი თხოვნით შემოსული განაცხადების განხილვა და **განთავსების ხარჯების გარკვეულწილად დაფინანსება.**

ამასთან, საქართველოს მთავრობა მუშაობს **სტუდენტური საცხოვრებლების მშენებლობისა** და უზრუნველყოფის მიმართულებით. ამგვარი კამპუსების მშენებლობა დაგეგმილია თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორსა და ახალციხეში. აღნიშნულ საცხოვრებლებში გათვალისწინებული იქნება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან საქართველოში მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების განთავსება.

საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის შესაბამისი მექანიზმებისა და პროცედურების შექმნა/გამარტივება

I. მიღებული უმაღლესი განათლების აღიარება

2009 წელს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ მიღებული N147 და N1067 ბრძანებები არეგულირებს „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი“ და „უმაღლესი განათლების აღიარების“ პროცედურებს. შედეგად, უმაღლესი განათლების მიღების აღიარებას ახდენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებმა ნებისმიერმა პირმა, რომელსაც სურვილი აქვს მიიღოს განათლების შესაბამისი აღიარება, უნდა მიმართოს კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს და წარადგინოს წერილობითი განაცხადი,

პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტი, აღიარების საჭიროების მქონე სერტიფიკატი/დიპლომი, ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს აღნიშნულ რეგიონებში განათლების მიღების ფაქტს, ასევე მიუთითოს კონკრეტული პირები (მოწმეები), რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ განათლების მიღების ფაქტი, ან წარმოადგინოს აღნიშნული მოწმეების ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი ჩვენება.

უმაღლესი განათლების აღიარების სტატუს-ნეიტრალური მექანიზმი

უმაღლესი განათლების აღიარების შემთხვევაში, წარდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების შემდეგ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც ადასტურებს საშუალო/უმაღლესი განათლების მიღების ფაქტს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში. აღნიშნული აქტი უფლებას აძლევს კონკრეტულ პირს განაგრძოს სწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დანარჩენ საქართველოში ან საზღვარგარეთ. **განათლების მიღების აღიარების პროცედურა უფასოა.**

II. განხორციელებული ცვლილებები და განათლების აღიარების გამარტივება

განათლების უფლების უზრუნველყოფის, ასევე საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვნად გაამარტივა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიღებული **უმაღლესი განათლების აღიარების პროცედურა, მათ შორის შექმნა აღიარების სტატუს-ნეიტრალური მექანიზმი**.

კერძოდ, 2017 წლის 11 იანვარს ცვლილებები განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის N1067 ბრძანებაში, რომლის შედეგად აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირს შეუძლია:

- უმაღლესი განათლების აღიარების მიზნით, განცხადება შეიტანოს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, **ელექტრონულ რეჟიმში, მათ შორის აფხაზურ ენაზეც;**
- განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგინოს **სტატუს-ნეიტრალური მექანიზმის გამოყენებით - საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით;**
- უმაღლესი განათლების აღიარების ადმინისტრაციულ პროცედურაში ჩართვა, მონაწილეობა, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, ასევე განათლების მიღების ფაქტის დადასტურება ასევე განახორციელოს აღნიშნული მექანიზმით, კერძოდ განათლების მიღების ფაქტის დადასტურება სთხოვოს სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციას, რაც **აღარ საჭიროებს დამატები მოწმეების წარმოდგენის საჭიროებას**;

- აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (ან ნეიტრალური მოწმობის) არქონის შემთხვევაში, შეუძლია გამოიყენოს **პირადი ნომრით რეგისტრაციის სტატუს-ნეიტრალური მექანიზმი,** ან **პირადი ნომრის გარეშეც,** შეუძლია განხილვისთვის წარადგინოს სხვა სახის ხელთ არსებული დოკუმენტი, რომელიც იძლევა მისი იდენტიფიცირების საშუალებას;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული განათლების აღიარების ადმინისტრაციული აქტი **ადრესატს შესაძლებელია ასევე მიეწოდოს საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით.**

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირს შესაძლებლობა ეძლევა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართოს და აღნიშნულ რეგიონებში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარება მოახდინოს **ელექტრონულად, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩამოსვლის და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის, ასევე სხვა რაიმე დოკუმენტის აღების გარეშე** (თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ასევე ძალაში რჩება აქამდე არსებული პროცედურაც). სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აქტი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ, შესაძლებლობას აძლევს ამ რეგიონებში მცხოვრებ პირს **ჩაერთოს საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში** და მიიღოს განათლება საზღვარგარეთ.

საქართველოს მთავრობა გეგმავს შესაძლებელი გახადოს აღნიშნულ რეგიონებში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების **განაცხადის სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ელექტრონულად ან წერილობით, სხვა ენაზე წარდგენაც**, მაგალითად, ოსურად, ინგლისურად ან რუსულად. აღნიშნული გაზრდის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირების ინტერესს მოიპოვონ მიღებული უმაღლესი განათლების აღიარება და კიდევ უფრო გაამარტივებს დადგენილ პროცედურებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გეგმავს უმაღლესი განათლების აღიარების მსგავსი ცვლილებების შეტანას მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N147 ბრძანებაში „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების“ შესახებ, რის შედეგადაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირს, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებლობა მიეცემა ამ ტერიტორიებზე მიღებული **ზოგადი განათლების აღიარება ასევე მოახდინოს ელექტრონულად, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩამოსვლის და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის აღების გარეშე.**

III. საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა

მნიშვნელოვანია განათლების ყველა საფეხურის, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობისათვის.

აღნიშნული მიზნით, **სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე** (www.smr.gov.ge) **განთავსდა ინფორმაცია საზღვარგარეთ სწავლების პროგრამებისა და შესაძლებლობების შესახებ** ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები პირებისათვის მოიცავს ევროკავშირის, ევროკავშირის წევრი სხვადასხვა ქვეყნების, შვეიცარიის, აშშ-ს, თურქეთის და აზიის ქვეყნების სტიპენდიებსა და საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სწავლის შესაძლებლობებს, მათ შორის როგორც არის, მაგალითად, ევროკავშირის ERASMUS+ პროგრამა, ვიშეგრადის ქვეყნების ფონდის სტიპენდიები, ბრიტანული Chevening, გერმანული DAAD, აშშ-ს Fulbright პროგრამა და სხვა.

იგეგმება მუშაობა სპეციალური **ვებ-პორტალის შექმნაზე** ქართულ, აფხაზურ, ოსურ, რუსულ, ინგლისურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე, სადაც ერთიანად განთავსდება ინფორმაცია საგანმანათლებლო სფეროს ყველა საფეხურის შესახებ (ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლება). ეს პორტალი უზრუნველყოფს სრულფასოვან წვდომას საჭირო ინფორმაციაზე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის, ეთნიკური უმცირესობებისა და დიასპორის წარმომადგენელებისთვის. ვებ-პორტალი საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს მოიკვლიონ დამატებითი ინფორმაცია ინტერაქტიულ რეჟიმში.

საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **უცხო ენის სათანადო ცოდნას,** რაც პრობლემატური საკითხია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირებისათვის. ამ მხრივ, საქართველოს მთავრობა მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან, რომელთა დახმარებით უკვე ხორციელდება აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები უცხო ენის მასწავლებლების ტრენინგი სასწავლო მეთოდოლოგიაში. იმავდროულად, საქართველოს მთავრობა გეგმავს გააძლიეროს მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო ცენტრებთან, რათა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში **დაინერგოს უცხო ენის შესწავლის გრძელვადიანი, მაღალი დონის კურსები**.

უცხო ენების შესწავლის ხელშეწყობა ორივე რეგიონში

საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს დაინტერესებული პირებს საზღვარგარეთ მიიღონ ხარისხიანი განათლება, რაც ხშირად მნიშვნელოვან ფინანსურ სახსრებთან არის დაკავშირებული. 2014 წლის მაისში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შეიქმნა სსიპ-**განათლების საერთაშორისო ცენტრი,** რომელიც ამჟამად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს. ცენტრის მიზანია შექმნას მოსახლეობისათვის, მათ შორის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირებისათვის, ევროპის, აშშ-ს და აზიის წამყვან უნივერსიტეტებში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების მიღების შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს წარმატებულ აპლიკანტებს **შესაბამისი დაფინანსების უზრუნველყოფით.**

საზღვარგარეთ განათლების დაფინანსება

ცენტრი განაცხადს იღებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირებისაგან, რომლებსაც აქვთ სურვილი გააგრძელონ სწავლა საზღვარგარეთ და მოიპოვონ განათლების დაფინანსება. ამ მიზნით, პირებს, რომლებმაც თავად მიმართეს მათთვის სასურველ აშშ-ის, ევროპულ ან აზიურ უნივერსიტეტს და ჩარიცხვის თაობაზე მიიღეს დადებითი პასუხი, ყოველ წელს შეუძლიათ წარადგინონ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია ელექტრონულად, განათლების საერთაშორისო ცენტრის ვებ-გვერდზე - www.iec.gov.ge სწავლისა და უცხო ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნით. ცენტრი განიხილავს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მიიღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების თაობაზე.

IV. საზღვარგარეთ მგზავრობა

საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მიღებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობისთვის საჭიროა შესაბამისი **სამგზავრო დოკუმენტის ფლობა.**

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მოსახლეობის დიდი ნაწილს არ გააჩნია ლეგიტიმური სამგზავრო დოკუმენტი. რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული უკანონო პასპორტიზაციის პროცესის შედეგად, დიდი ნაწილი ფლობს სოხუმსა და ცხინვალში არსებული რუსეთის ე.წ „საელჩოების“ მიერ გაცემულ უკანონო რუსულ პასპორტებს. საერთაშორისო საზოგადოება აღნიშნულ პასპორტებს არ აღიარებს, რადგან მათი გაცემა ხდება საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევით და მათ მფლობელებზე არ გაიცემა სამგზავრო და სასწავლო ვიზები.

საქართველოს ხელისუფლება, ჰუმანიტარული პრინციპების გათვალისწინებით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას თავისუფალი გადაადგილებისა და საერთაშორისო მგზავრობისთვის სთავაზობს სხვადასხვა შესაძლებლობას:

საქართველოს მოქალაქის პასპორტი

საქართველოს მთავრობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას საზღვარგარეთ მოგზაურობისთვის **სთავაზობს საქართველოს მოქალაქის პასპორტს.**

საქართველოს პასპორტის აღება 2017 წლის 28 მარტიდან ასევე უკავშირდება ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ გადაადგილების შესაძლებლობას, რაც მნიშვნელოვანი და ხელშესახები მონაპოვარია საქართველოს ევროკავშირთან ასოცირებისა და თანამშრომლობის პროცესში. შედეგად, საქართველოს მოქალაქის პასპორტის მფლობელ პირებს შესაძლებლობა აქვთ შენგენის ზონის ქვეყნებში იმოგზაურონ უვიზოდ მოკლევადიანი პერიოდით (90 დღით 180 დღის განმავლობაში).

საქართველოს მთავრობის მიზანია, ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად მიღებული სარგებელი, მათ შორის, შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა, გაუზიაროს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთ. შესაბამისად, აღნიშნული რეგიონების მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის მისაღებად მიმართოს სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლს ან საზოგადოებრივ ცენტრს, მათ შორის გორსა და ზუგდიდში, ასევე გამყოფი ხაზის სიახლოვეს - ორსანტიაში, რუხსა და მეჯვრისხევში. საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტი მათ შესაძლებლობას მისცემს თავისუფლად იმოგზაურონ ევროპაში, მათ შორის უვიზოდ მოკლევადიანი საგანმანათლებლო ვიზიტებისას, ან მიიღონ სათანადო ვიზა გრძელვადიან საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისათვის.

უვიზო მიმოსვლა საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის გამარტივება

საქართველოს მთავრობა გეგმავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირებისათვის საქართველოს მოქალაქეობის დადგენისა და მათზე **საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის/ბიომეტრიული პასპორტის გაცემის წესის გამარტივებას**. კერძოდ, დაინტერესებული პირისთვის მოქალაქეობის დადგენის მიზნით, სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შეეძლება განიხილოს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში გაცემული დოკუმენტები და ამ რეგიონებში დაბადების, გარდაცვალების, ქორწინება/განქორწინების და ცხოვრების დამადასტურებელი ფაქტების განხილვის საფუძველზე, გასცეს სხვადასხვა სამოქალაქო დოკუმენტები. პროცედურა იქნება უფასო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში (ან საჭიროების შემთხვევაში, დაჩქარებული წესით).

სტატუს ნეიტრალური დოკუმენტი

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის გათვალიწინებით, აღნიშნული რეგიონების მოსახლეობას ხშირად ექმნება სხვადასხვა წინააღმდეგობა აიღოს საქართველოს მოქალაქის პასპორტი. ამის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირებისათვის 2011 წელს **შეიმუშავა სტატუს-ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი**.

ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი მომზადდა სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებისა და მოთხოვნების მიხედვით. იგი აბსოლუტურად ნეიტრალურია მოქალაქეობის საკითხთან მიმართებაში, როგორც იურიდიული, ასევე ტექნიკური თვალსაზრისით. შესაბამისად, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელებს საზღვარგარეთ გადაადგილება შეუძლიათ საქართველოს იურისდიქციის პირდაპირი აღიარების გარეშეც.

ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს გასცემს სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერი ტერიტორიული სამსახური, იუსტიციის სახლი ან საზოგადოებრივი ცენტრი. დოკუმენტის აღების მსურველ პირს განაცხადის გაკეთება შეუძლია პირადად, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის მქონე მესამე პირის მეშვეობით, ან ელექტრონულ რეჟიმში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდის გამოყენებით. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემა ხდება განაცხადის შევსებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. დოკუმენტი გაიცემა 10 წლის ვადით და შესაძლებელია მისი განახლება.

საერთაშორისო საზოგადოებამ მხარი დაუჭირა ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს, როგორც გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფის ალტერნატიულ საშუალებას და პრობლემის ნეიტრალურ საფუძველზე გადაწყვეტის შესაძლებლობას. ამ ეტაპზე დოკუმენტს აღიარებს 12 (მათ შორის ევროკავშირის წევრი 9 ქვეყანა) - ჩეხეთის რესპუბლიკა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ასევე, იაპონია, ისრაელი და აშშ.

სხვა სტატუს-ნეიტრალური შესაძლებლობები

განათლების, ჯანდაცვის, ჰუმანიტარული თუ ნდობის აღდგენის მიზნით საზღვარგარეთ მგზავრობის საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა ხელმძღვანელობს პრაგმატული, მოქნილი, ჰუმანიტარული და სტატუს-ნეიტრალური პრინციპებით. მსგავსი მიდგომები ითვალისწინებს სხვადასხვა არაკონვენციური და დეპოლიტიზირებული გზების გამოყენებით, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებას.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირების კონკრეტულ **საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვის მიზნით, დეპოლიტიზირებული მიდგომები** შესაძლებელია ითვალისწინებდეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ეროვნული laissez-passer ან მსგავსი დოკუმენტების გაცემას, ან მასპინძელი ქვეყნის შიდა კანონმდებლობიდან გამომდინარე, სხვა კრეატიული, ნეიტრალური გამოსავლების მოძიებას. საქართველოს მთავრობა მზად არის საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ინდივიდუალური შემთხვევისას განიხილოს მსგავსი სტატუს-ნეიტრალური შესაძლებლობები.

საერთაშორისო მგზავრობის სტატუს-ნეიტრალური შესაძლებლობები

პროფესიული განათლების მიღების და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირების პროფესიული განათლებისადმი წვდომის უზრუნველყოფა ამ რეგიონებში მცხოვრები პირების კვალიფიკაციის ამაღლების, შემდგომი დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების ხელშეწყობის,

შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით. არსებული რეალობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების მიღება მეტად იყოს ხელმისაწვდომი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირებისათვის და შესაბამისად, მოხდეს **არსებული შესაძლებლობების კიდევ უფრო გამარტივება**.

ამჟამად, სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები განთავსებულია შემდეგ ქალაქებში:

- ზუგდიდი
- წალენჯიხა (ქ. ჯვარი)
- გორი
- ახალციხე
- ბათუმი
- ქობულეთი
- ფოთი
- თბილისი
- მესტია
- ქუთაისი
- ოზურგეთი
- თელავი
- გურჯაანი (კაჭრეთი)
- რუსთავი
- ამბროლაური
- ტყიბული
- საგურამო
- თიანეთი
- სტეფანწმინდა
- გუდაური
- ახმეტა
- ლაგოდეხი
- დედოფლისწყარო
- ბაღდათი
- სამტრედია
- სენაკი

2018 წელს იგეგმება სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განთავსება ხობში და ზესტაფონში.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებს შესაძლებლობა აქვთ ჩააბარონ ნებისმიერ ზემოაღნიშნულ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მფლობელი პირის გარდა, **პროფესიულ** საგანმანათლებლო დაწესებულებებში **ჩარიცხვა შეეძლებათ ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელ ან პირადი ნომრით რეგისტრირებულ პირებს**.

პროფესიულ განათლებაში გამარტივებული ჩართვა

პროფესიული განათლების მსურველთა რეგისტრაცია უკვე შესაძლებელია ელექტრონულად (www.vet.emis.ge) აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირებისათვის აღნიშნული პორტალი ხელმისაწვდომი იქნება ასევე სხვა ენებზე.

სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ხდება ქართულ ენაზე. თუმცა, ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ პროფესიულ დაწესებულებაში ჩაბარების შემდეგ, განათლების დაწყებამდე და პროფესიული პროფილის გათვალისწინებით, 3-დან 6 თვემდე ისწავლონ ქართული ენა საგანმანათლებლო პროგრამის დაუფლების მიზნით. პროფესიული განათლება მეტწილად ტექნიკურია და მხოლოდ მცირე თეორიულ კომპონენტს შეიცავს. შესაბამისად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებს, სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ ისარგებლონ არსებული 3-6 თვიანი ქართული ენის შესწავლის კურსებით. საჭიროებიდან გამომდინარე, აღნიშნული პირებისთვის სასწავლო პროცესში შესაძლებელია ჩართული იქნეს თარჯიმანი.

ქობულეთში და კაჭრეთში არსებულ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკვე ფუნქციონირებს საერთო საცხოვრებელი, სადაც სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება ჩარიცხულ პირთა განთავსების ხარჯების ანაზღაურება. ამჟამად მიმდინარეობს საერთო საცხოვრებლების მშენებლობა სენაკის და მესტიის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც 2018 წელს დასრულდება. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა **სრულად დააფინანსებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირების** სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების **საერთო საცხოვრებლებში განთავსებას**.

საერთო სტუდენტური საცხოვრებლით სარგებლობა

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 თებერვლის N76 დადგენილებით დამტკიცდა სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებით და/ან სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებით, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა. სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა აუცილებელი პირობაა შრომის ბაზრის მოთხოვნათა ცვლილებების მიხედვით, მოქალაქეთა კომპეტენციების და უნარების განვითარების, მათი ცხოვრების დონის ამაღლებისა და კეთილდღეობის მისაღწევად. მომზადება-გადამზადება სხვადასხვა პროფესიებში განხორციელდება პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებსა და მისი პარტნიორ

დამსაქმებელ ორგანიზაციებში. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2-დან 4 თვემდე პერიოდს. პროგრამა ითვალისწინებს **სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას ვაუჩერის სახით**.

საქართველოს მთავრობის მიერ აღნიშნული **პროგრამით მოსარგებლე პირებად 2017 წლიდან მოყოლებული ასევე განისაზღვრნენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირები** და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. ზემოაღნიშნული პირები გათავისუფლდებიან პროგრამაში მონაწილეობის ისეთ სავალდებულო პირობისაგან, როგორიც არის ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონა. შესაბამისად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებს და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ამგვარი დოკუმენტის არქონის გარეშეც, შეეძლებათ მიიღონ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ პირებს, სხვა განმცხადებლებთან შედარებით, **პროგრამით სარგებლობის უპირატესი უფლება ენიჭებათ.**

აღსანიშნავია, რომ ამჟამად არ არსებობს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიღებული პროფესიული განათლების აღიარების წესი. ამ რეგიონებში მცხოვრები პირების საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დასაქმების ან მუშაობის გაგრძელების ხელშეწყობის მიზნით, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეიმუშავებს სათანადო ბრძანებას**, რომელიც განსაზღვრავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მიღებული პროფესიული განათლების აღიარების პროცედურებს.

ინტერესის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან ახალგაზრდების მიერ თბილისსა და ზუგდიდში უკვე არსებული **ტექნოლოგიური პარკებით სრულიად უფასოდ სარგებლობას**, მათ შორის ლაბორატორიების და სამუშაო სივრცის გამოყენებას, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში ცოდნის მიღებას, ინოვაციური იდეების განვითარებაში და ტექნოლოგიების შექმნაში უშუალო მონაწილეობას, ასევე ყველა იმ სერვისის და მომსახურების მიღებას, რაც აღნიშნულ ტექნოპარკებში არის დანერგილი.

2018 წლის ივნისში, გამყოფი ხაზების სიახლოვეს, **სოფელ რუხში გაიხსნება ინოვაციების ცენტრი**. ასევე ქ. გორში დაგეგმილია ტექნოლოგიური პარკის მშენებლობა, სადაც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებს შესაძლებლობა მიეცემათ **სრულიად უფასოდ გაიარონ სხვადასხვა ტრენინგები, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიებში,** კვალიფიკაციის ამაღლებისა და შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით შეისწავლონ კომპიუტერი და სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამები.

ტექნოპარკის მომსახურება და ტრენინგები

რუხის ინოვაციების ცენტრში მოეწყობა საერთო სამუშაო სივრცე, კომპიუტერების ოთახი, საკონფერენციო დარბაზი, სასწავლო ოთახი, ბიბლიოთეკა და ფაბრიკაციის ლაბორატორია. ფაბრიკაციის ლაბორატორიაში შესაძლებელი იქნება მოზარდებისთვის რობოტიქსის

საწყისების სწავლება, რაც ხელს შეუწყობს მათთვის ტექნოლოგიური მიმართულებით უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. მსგავსი სერვისების მიღება ასევე შესაძლებელი იქნება ქ. გორში. საქართველოს მთავრობის მიზანია ინოვაციების ცენტრი და ტექნოპარკი გახდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის **ცოდნის მიღებისა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის ადგილი.**

სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობა

საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვანია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მკვლევარებს და მეცნიერებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კვლევით და სამეცნიერო საგრანტო კონკურსში, მოიპოვონ სათანადო დაფინანსება და გააგრძელონ კვლევითი თუ სამეცნიერო საქმიანობა როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ. მნიშვნელოვანია ქართველი და აფხაზი, ქართველი და ოსი მეცნიერებისა და მკვლევარების თანამშრომლობის, ერთობლივი პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობა.

2016 წლის 29 აპრილს ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული "ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის პროგრამაში **"ჰორიზონტი 2020"** საქართველოს ასოცირების შეთანხმება" შესაძლებლობას აძლევს ქართველ მეცნიერებს, მკვლევრებს და ინოვატორებს, ასევე, საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიული პირებს (უნივერსიტეტები, კვლევითი დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მცირე და საშუალო საწარმოები, ბიზნეს კომპანიები, ფონდები, სამთავრობო დაწესებულებები და ა.შ.) მონაწილეობა მიიღონ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ სხვადასხვა სფეროს მიკუთვნებულ საგრანტო კონკურსებში. საქართველოს მთავრობა მიესალმება და ხელს შეუწყობს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ერთობლივ ქართულ-აფხაზურ/ქართულ-ოსურ სამეცნიერო საქმიანობას.

სამეცნიერო საქმიანობის ახალი შესაძლებლობები

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მეცნიერებისა და მკვლევარების მონაწილეობას ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამაში, როგორიც არის **ფულბრაიტის პროგრამა** (Fulbright Visiting Scholar Program).

სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობის, ინოვაციური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალი ხარისხის მეცნიერული კვლევების განვითარების და საქართველოში მოღვაწე მეცნიერებისა და ახალგაზრდა მკვლევარების საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების მიზნით, საქართველოში მოქმედებს სსიპ-**შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი** (შემდგომში - ფონდი). ფონდი ახორციელებს სახელმწიფო საგრანტო კონკურსებს, მიზნობრივ პროგრამებსა და პროექტებს, ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებსა და ერთობლივ პროექტებში. ამჟამად, არსებულ კონკურსებსა და პროგრამებში ჩართვა შეუძლიათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებს.

ქართველი, აფხაზი და ოსი მკვლევარების თანამშრომლობის წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობა გეგმავს ცვლილებების განხორციელებას შესაბამის მთავრობის დადგენილებებში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებში, რომლებიც არეგულირებენ ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსებს, პროგრამებს და მათში მონაწილეობის პირობებს, რათა აღნიშნულ **კონკურსებსა და პროგრამებში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ ნეიტრალური დოკუმენტის მფლობელ, ასევე პირადი ნომრით რეგისტრირებულ პირებს**.

გარდა ამისა, ორმხრივი კვლევითი და სამეცნიერო თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით, არსებული კონკურსებისა და პროგრამების ფარგლებში განიხილება **სპეციალური ქვეპროგრამის შექმნის შესაძლებლობა**, რომელიც უშუალოდ დააფინანსებს ერთობლივ ქართულ-აფხაზურ/ქართულ-ოსურ სამეცნიერო მუშაობას.

აღნიშნული პროგრამები და ქვეპროგრამები, ქმნის შესაძლებლობას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონიდან დაინტერესებულ პირთა უნარ-ჩვევების და კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად, ეტაპობრივად განვითარდეს ცოდნა განათლების, კვლევითი და სამეცნიერო მუშაობის საერთაშორისო სტანდარტების და მეთოდოლოგიის შესახებ და ხელი შეეწყოს ზოგადად **განათლების ხარისხის გაუმჯობესებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში.**

დასკვნა

საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკა მოიცავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კეთილდღეობაზე ზრუნვის და კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის ამოცანებს.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაზე ზრუნვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განზომილებას წარმოადგენს განათლება. ამ მხრივ საქართველოს მთავრობის პოზიტიური ვალდებულება მოიცავს ყველა იმ მექანიზმისა თუ შესაძლებლობის შექმნას, მათ შორის ჰუმანიტარული და დეპოლიტიზირებული/სტატუს-ნეიტრალური ინსტრუმენტების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის განათლების ყველა დონეზე ხელმისაწვდომობას, ხარისხიან სკოლამდელ, ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლეს, პროფესიულ და საერთაშორისო განათლებაში ჩართვას, ამ მიზნით განსაზღვრული პროცედურებისა და საფეხურების გამარტივებას და არსებული რეალობისთვის მისადაგებას.

ამგვარად, წარმოდგენილ დოკუმენტში „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ასახული საქართველოს მთავრობის ინიციატივები ქმნის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიერ განათლების მიღების ახალ, გამარტივებულ, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებზე დამყარებულ შესაძლებლობებს, რაც აღნიშნულ რეგიონებში არსებული მდგომარეობის ფონზე, უაღრესად მნიშვნელოვანია. ამასთან,

დაგეგმილი ინიციატივები და ნაბიჯები კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკას, რომელიც ორიენტირებულია ადამიანური კეთილდღეობის უზრუნველყოფასა და საერთო ინტერესებზე დაფუძნებულ თანამშრომლობაზე.